ოქმი№1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2025 წლის 5 ნოემბერს.

სხდომა დაიწყო 10:00 საათზე, დამთავრდა 10:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები - ირაკლი კალანდარიშვილი, ლევანი უჩანეიშვილი, ინგა ქარდავა, ზაზა ნაჭყებია, ელგუჯა კვაშილავა, ბადრი ხურცია, მიხეილ ნადარაია, გიორგი წურწუმია, თენგიზი ცეკვავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 3 ნოემბერს შემოსული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საბა ოდიშარიას განცხადების განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ი. კალანდარიშვილი

წარმოდგენილ დღის წესრიგს ეყარა კენჭი (მომხრე - 9; წინააღმდეგი - 0), სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა შეუდგა მუშაობას წარმოდგენილი დღის წესრიგის მიხედვით.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 3 ნოემბერს შემოსული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საბა ოდიშარიას განცხადების განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ი. კალანდარიშვილი

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 3 ნოემბერს დარეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საბა ოდიშარიას განცხადება საკრებულოს წევრის მანდატის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტად ითვლება შესაბამისი განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - საბა ოდიშარიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“.
2. განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - საბა ოდიშარიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რათა მიიღოს ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე.

სხდომის თავმჯდომარე: ირაკლი კალანდარიშვილი